


მერაბ მოღეზაძე

პიესუგის კრებული



ნაკობ გობეაბაშვილი

იფნისებ ხო ჰქმნა?

პიესა ორ მოქმედებად



მოქმედი პირები

ზურაბ ქართველაძე – თავადი

მაგდანა – ზურაბის მეუღლე.

ქეთო – მათი ქალიშვილი.

ლეკი ჰასანი და მისი ამხანაგი.

ლეკი ნაიბი.

ლელა – ლეკი ნაიბის ცოლი.

გიორგი – ქეთოს ბავშვობის მეგობარი.

ბარბარე – ქეთოს გამზრდელი.

იბრაჰიმი – ნაიბის მეზობელი.

მუსტაფა – ნაიბის მსახური.

მოქმედება მიმდინარეობს კახეთში, სოფელ ვაშლოვანში, თავად ქართველაძის სახლში და დალესტანში ლეკი ნაიბის სახლში.

მოქმედების დრო 1785-1795 წლები.

პირველი მოქმედება

სცენა №1

თავად ზურაბ ქართველადის სახლი. ოთახის კედელთან დგას დივანი ორი სავარძლით. წინ პატარა მაგიდა, კედელზე დიდი ხის ჯვარი ჰკიდია. ოთახში შემოდიან ზურაბ ქართველადე და მისი მეუღლე მაგდანა, რომელსაც ხელით მოყავს თავისი სამი წლის შვილი ქეთო, მათ მოყვებიან ქეთოს გამზრდელი ბარბარე და მისი შვილი ხუთი წლის გიორგი. მაგიდაზე დოქი და რამდენიმე ჭიქა დგას, პური, შემწვარი კურდღელი.

ზურაბი. აბა, მობრძანდით ჩემო ძვირფასებო, დღეს ჩემი ნანადირევი კურდღლის ხორცი უნდა გაგიმასპინძლდეთ. (იგი ოჯახის წევრებს ხელით მიუთითებს მაგიდასთან მდგარ სკამებზე დასაჯდომად).

მაგდანა. ჩვენმა მზარეულმა ზურაბ ბატონო, თქვენი ნანადირევისგან შესანიშნავი გემრიელი კერძი მოგვიმზადა.

ბარბარე. მოდით პატარებო და აქ დაბრძანდით (იგი ქეთინოს და გიორგის მაგიდასთან ახლოს მიიპატიჟებს).

ზურაბი. (იგი დოქიდან ასხავს ღვინოს ჭიქაში და ამბობს). ჩვენს ქეთისა და გიორგის გაუმარჯოს, მათი თავადობით კი ყველა პატრას, ჩვენს პატარებს ყველა ნატვრის შესრულებას ვუსურვებდი

ქეთი. მე ერთი ნატვრა მაქვს მამიკო, რომ გავიზრდები დედისავეთ ტკბილი სიმღერა შემეძლოს.

გიორგი. მე კი ვინატრებდი, რომ ძია ზურაბივით მესწავლოს დაკვრა ქნარზე, რომ მუდამ შემეძლოს თქვენი გამხიარულება.

ბარბარე. გაიზრდებით და არა მარტო იმღერებთ და დაუკრავთ, არამედ იცეკვებთ კიდევ, რადგან კეთილშობილ ოჯახში გაზრდილმა ყველა ახალგაზრდამ უნდა იცოდეს სიმღერა, დაკვრაც და ცეკვაც.

ქეთი. დედა გთხოვ გვიმღერე იავნანა.

მაგდანა. თუ მამაშენი ქნარზე დაუკრავს, ვიმღერებ, ჩემო ქეთო.

ზურაბი. დიდი სიამონებით დაუკრავ (იგი იღებს ქნარს და ინყებს დაკვრას, მაგდანა კი სიმღერას ინყებს, ოთახში იავნანას სასიამოვნო სიმღერა ჟღერს. უცბად კარზედ კაკუნის ხმა ისმის).

ზურაბი. ნეტავ ვინ არის, ამ საღამოს ჟამს რომ მოსულა ჩვენთან? (ბარბარე დგება და გადის კარის გასაღებად, მალე იგი ბრუნდება ორ ლეკთან ერთად).

ბარბარე. ლეკი ჰასანია და მისი ამხანაგი. (ლეკი ჰასანი წინ წარუდგება თავადს და საღამოს უძღვნის).

ჰასანი. მოგესალმები თავადო ზურაბ.

ზურაბი. რაო ბაჯაჯგუნა ლეკებო, რამ მოგიყვანათ ამ საღამოს ჟამს ჩემთან?

ჰასანი. ნაბდები და იარალი გვაქვს გასაყიდი თავადო (და იგი ნაბადში გახვეულ იარალს წინ ფეხებთან გაუშლის თავადს). მოგეხსენებათ თავადო ჩვენი ხელოსნები იარალის კეთებაში დიდი ოსტატები არიან და თქვენც საუკეთესო იარალი მოგართვით.

ზურაბი. ვიცი, თქვენი ოსტატების შესახებ, მათი გაკეთებული იარალი განთქმულია, აბა მაჩვენე ერთი ეგ თოფი (იგი ხელს იშვერს იარალისკენ).

ჰასანი. ვიცი რომ ნადირობა გიყვართ თავადო და ეს თოფი უცილობლად გამოგადგებათ.

ზურაბი. (ჰასანის მიერ მოწვდილ იარალს ხელში იღებს და ამბობს) კარგი იარალია, რამდენს მოითხოვ მასში?

ჰასანი. ათი ოქრო ღირს ეგ, მაგრამ შენ უფრო იაფად მოგცემ.

თავადი ზურაბი. რა ამბავია ათი ოქრო, ხუთიც ეყოფა.

ჰასანი. შვიდი იყოს და ამით ვაჭრობა დავამთავროთ.

თავადი ზურაბი. კარგით, ამ თოფში შვიდ ოქროს მოგცემთ (ჯიბიდან ტყავის ქისა ამოაქვს, რომელიც ოქროს ფულით არის გატენილი და ჰასანს შვიდ ოქროს გადაუთვლის, რომელიც ოქროს ხარბი თვალებით უყურებს).

ჰასანი. დიდი მადლობა თავადო, სიკეთეში მოგახმაროთ ეგ თოფი (ფულს კი ჯიბეში ჩაიჩხრიალებს), ეხლა კი უნდა წავიდეთ თავადო, გვეჩქარება.

ზურაბი. არა, ეგრე არ გაგიშვებთ, უნდა დაილოცოთ. (იგი ჭიქებში ღვინოს ასხამს და ლეკებს აწვდის, თვითონაც ჭიქას იღებს და ამბობს).

კახეთში და კერძოდ, ვაშლოვანში ლეკები ხშირი სტუმრები არიან, ძველი დროიდან დალესტანსა და საქართველოს შორის კეთილი დამოკიდებულება არსებობდა და ჩვენს შორის მეგობრობა სუფევდა. მოდით ჩვენს მეგობრობას გაუმარჯოს (იგი სვამს სასმელს). მაგდანა, (მიმართავს თავადი თავის ცოლს) გთხოვთ, გვიმღეროთ რამე.

მაგდანა. რა გიმღეროთ ბატონო?

ქეთო. დედა იავნანას რომ მღეროდი გთხოვ, გააგრძელო?

მაგდანა. კარკი, გიმღერებთ, (იგი იწყებს სიმღერას, ზურაბი მას აყვება ქნარზე დაკვრით, მაგდანას დივანზე გვერდით მიუჯდებიან ქეთო, დათო და ბარბარე, ამ დროს ლეკები განზე გადგებიან და თავისთვის იწყებენ ლაპარაკს).

ჰასანი. იცი რა აზრი მომივიდა! რამდენი ხანია, რაც ჩვენ სავაჭროდ დავდივართ, მაგრამ რა გამოვიდა? ისევ ისეთივე ლატაკები ვართ, როგორიც ვიყავით, ისევ ისეთივე ძალღური ცხოვრება გვაქვს, როგორიცა გვექონდა. სხვაგვარად როგორ მოვიქცეთ, რომ ერთბაშად გავმდიდრდეთ და ამდენ ვაგლახსა და ლანლანს, თავი დავანებოთ.

ჰასანის ამხანაგი. ეგ როგორ?

ჰასანი. ზურაბ ქართველადქე, ხომ ძალიან მდიდარია? (ეკითხება იგი თავის ამხანაგს).

ჰასანის ამხანაგი. ჰო, მდიდარია, მაგრამ რას გვარგებს ჩვენ მისი სიმდიდრე?

ჰასანი. გვარგებს, თუ ჭკუით მოვიქცევით. ამ მდიდარ კაცს ხომ

გაგიჟებით უყვარს თავისი ერთად-ერთი ქალიშვილი?

ჰასანის ამხანაგი. მართალია, უყვარს, მაგრამ მერე რა გამოგვა მანდედან?

ჰასანი. ის გამოგვა, რომ თუ ჩვენ ამ ბავშვს როგორმე მოვიტაცებთ და ტყვედ წავიყვანთ დალესტანში, როგორ გგონია, თავადი ქართველადე განა თავის შეძლებას დაიშურებს, რომ ტყვეობიდან დაიხსნას შვილი? ჰაი, ჰაი, რომ არ დაიშურებს, თოფში ამდენი ფული გადაიხადა და თავის ქალიშვილში ხომ ათჯერ მეტს გადაიხდის?

ჰასანის ამხანაგი. მომწონს ეგ აზრი, მთავარია ხელსაყრელ დროს ხელში მოვიგდოთ და ქეთო დალესტანში გავიტაცოთ (ამ დროს სიმღერას ამთავრებს მაგდანა).

ჰასანი. თავადო ზურაბ, დიდ მადლობას გიხდით სტუმარ-მასპინძლობისათვის, ეხლა კი დროა გამოგემშვიდობოთ და ჩვენს გზას დავადგეთ (ლეკები დგებიან ფეხზე და თავადს თავს მდაბლად დაუკრავენ).

თავადი. კარგად იყავით, თქვენგან ნაყიდ თოფს მალე გავსინჯავ ნადირობის დროს.

ჰასანი. კარგ ნადირობას გისურვებთ თავადო (ლეკები გადიან ოთახიდან).

ბარბარე. (დგება ფეხზე და მიდის ქეთოსთან, გადაეხვევა, აკოცებს და ეუბნება) ქეთო გენაცვალე შენი ძილის დროც მოვიდა, გამოემშვიდობე ყველას.

ქეთო. დედამ კიდევ მიმღეროს.

მაგდანა. (ხელში აიყვანს პატარა ქეთოს). დაგანვენ და გიმღერებ ჩემო პატარავ! (იგი დივანზე აწვენს ქეთოს და ნაზი ნელი ხმით უმღერის იავნანას, ქეთოს ჩაეძინება, ყველა გადიან ოთახიდან, ქეთო რჩება მარტო. ამ დროს ორი ლეკი: ჰასანი და მისი ამხანაგი ოთახში შემოიპარებიან, ქეთოს აიყვანენ, გაახვევენ ნაბადში და მძინარეს გაიტაცებენ, ქეთოს გაელვიძება და იყვირებს).

ქეთო. დედა მიშველე. (მაგრამ ლეკები სწრაფად გაყავთ ის ოთახიდან ხელში აყვანილი. ოთახში პირველი ბარბარე შემოვარდება, მიდის ქეთოს საწოლთან, დაინახავს თუ არა, რომ ქეთო ლოგინში არ არის, თავში ხელს წაიშენს და მთელის ძალით ყვირის).

ბარბარე. მიშველეთ ჩქარა, ქეთო გაიტაცეს. (ოთახში თავადი ზურაბი და მაგდანა შემორბიან, მათ მოყვებიან გიორგი და თავადის მოურავი).

თავადი ზურაბი. ეს რა უბედურება დაგვადტყდა თავს.

მოურავი. ეს საქმე იმ ლეკების ამბავი უნდა იყოს ბატონო, ასეთი ბოროტება მხოლოდ მათ შეეძლოთ ჩაედინათ.

ზურაბი. მდევარი ჩქარა, მათგან ნაყიდი თოფი ახლა გამომადგება ზუსტად, უნდა დავენიოთ მათ და ქეთო გამოვტაცოთ, სწრაფად მომყევით (და ისინი გადიან ოთახიდან. მაგდანა მიდის ქეთოს საწოლთან და მწარე ცრემლით ტირის, იგი მუხლებზედ დაემხობა მის საწოლთან).

სცენა №2

დალესტანში მდიდარი ლეკი ნაიბის სახლი. კედლებზე ხალიჩებია გაკრული, ზედ კიდია ქნარი და ნალარა. თვითონ ნაიბი ზის დივანზე, რომელზეც ჭრელი ხალიჩა არის გადაფარებული, გვერდზე მუთაქები აქვს ამოდებული, ჩიბუხს აბოლებს და ჩაის სვამს, დიდ უღვაშებზედ ხელს ხშირად ისვამს, მისი ცოლი ლელა მრგვალ გვერდებიანი შუახნის ლამაზი ქალია, ჭრელი კაბა აცვია და ქმარს თავს დასტრიალებს.

ნაიბი. რამდენი ხანია მე და შენ ჩემო ლეილა, მეუღლეები ვართ, მაგრამ ღმერთმა შვილი არა და არ გვაღირსა. არა და როგორ მინდა გვერდით ჩემი მემკვიდრე ვაჟკაცი მყავდეს. მთელ დასავლეთ დალესტანში ყველაზე მდიდარი ნაიბი ვარ, მაგრამ რა თავში ვიხალო, ეს სიმ-

დიდრე? მოკვდები და ყოველივეს გაანიავებენ ჩემი ხარბი ნათესავები.

ლელა. მეც ეგ მადარდებს ჩემო ძვირფასო, განა რა აზრი აქვს ჩემს სიცოცხლეს შვილის გარეშე, უშვილოდ ყოფნა მეც ძალზედ მეძნელება, ღმერთს ვთხოვ ბიჭი თუ არა, გოგო მაინც მოგვივლინოს, ისე გავზრდიდი ცივ ნიავსაც არ მივაკარებდი. (უცბად კარზედ კაკუნის ხმა ისმის).

ნაიბი. ნეტა ასე გვიან ვის გავახსენდით დედაკაო, წადი კარი გააღე, მგზავრი იქნება ვინმე. (ნაიბის ცოლი გადის, კარს აღებს და ორი ლეკი შემოყავს სახლში).

ჰასანი. გამარჯობა ნაიბო!

ნაიბი. გამარჯობა ჰასან. რამ მოგიყვანა ასე გვიან ჩემთან? ვიცი შენი ხასიათი, ტყუილად არ მოხვიდოდი, რაო რით გამახარებ ამჟამად?

ჰასანი. დიდო ნაიბო დაღესტნის დასავლეთის მთელი მხარე შენ გემორჩილება და მეც შენი ერთგული მსახური ვარ, ხელცარიელი და უსაჩუქროდ შენთან არ მოვიდოდი, მინდა ძღვნად პატარა გოგონა მოგართვა, ეს ბავშვი გზაზე ტყეში ვიპოვნეთ, შეგვეცოდა და წამოვიყვანეთ (ჰასანი ხელში აყვანილ პატარა ჩაძინებულ გოგონაზე მიუთითებს, რომელიც მის ამხანაგს ჰყავს გახვეული ნაბადში. ლეკი მიდის ნაიბისა და მის ცოლთან და მათ დივანზედ გადაუშლის ნაბადს, რომელშიც პატარა ქეთო არის ჩაძინებული).

ნაიბი. ღმერთო დიდებულო, ნუთუ შეისმინე ჩემი ვედრება და მომივლინე სასწაული, ეს რა კარგი ამბავი მახარე ჰასან.

ლელა. (აიყვანს პატარა ქეთოს ნაბდიდან და ეფერება, შემდეგ ნაიბს გადასცემს, რომელიც ეფერება ბავშვს. ლელა კვლავ გამოართმევს ნაიბს და პატარას ტახტზე დაანვენს). ეს რა ლამაზი გოგონაა, ალბათ გზაში ძალზედ დაიღალა და ჩასძინებია. (შემდეგ ჰასანს

ეკითხება). ჰასან, რა მოგცეთ რომ ეს ბავშვი ჩვენ დაგვიტოვოთ? ხომ იცი რომ ჩვენ შვილი არა გვყავს და მას ჩვენ დიდი სიამოვნებით ვიშვილებდით.

ჰასანი. რა უნდა გვიბოძო ქალბატონო, თუ ასე ძალიან გნებავთ ჩვენი ფეშქაში იყოს ეს პატარა, დაიტოვეთ, ჩვენ ჩვენს ნაიბისგან ფულს არ ავიღებთ.

ნაიბი. არა, ჰასან! ეგრე არ შეიძლება, თქვენ სიკეთე გვიყავით და ჩვენ თქვენ უპატივცემულოდ არ დაგტოვებთ (იგი დგება, გამოაღებს კარადის კარს, იქიდან დიდი თიხის ქისა გამოაქვს ოქროთი სავსე და ჰასანს აძლევს). აიღე ჰასან, შენ ეს ნამდვილად დაიმსახურე (ჰასანი ნაიბს თავს მდაბლად დაუკრავს და ქისას გამოართმევს).

ჰასანი. დიდი მადლობა ჩემო ბატონო, ბედნიერი იყავით შენ და შენი ოჯახი ღმერთმა წყალობა არ მოგაკლოთ, ჩვენ კი წავალთ ეხლა ბატონო (ისინი წასასვლელად ემზადებიან, ჰასანი და მისი ცოლი ბავშვს დასტრიალებენ და უცინიან, ამ დროს ჰასანი თავის ამხანაგს ეუბნება ისე, რომ ნაიბმა არ გაიგოს).

ჰასანი. ხედამ ჩემო მეგობარო, ბედი როგორ გვენყალობს, ამდენი ოქროს პატრონებს რალა გვინდა ქართველ თავადთან? თავს ნუ ავიტკივებთ, ის ისე ყოფილა გამწარებული ჩვენზედ, რომ ოქრო კი არა, იქნება იმ ჩვენგან ნაყიდი თოფით შუბლი გაგვიხვრიტოს, ჯობს აქედან შორს გავუჩინარდეთ.

ჰასანის ამხანაგი. ხო, მართალი ხარ, აუტკივარი თავი ჯობს არ ავიტკიოთ და ამ ადგილებს სწრაფად გავეცალოთ. (უხმაუროდ გადიან ოთახიდან).

ლელა. ჩემს ბედნიერებას საზღვარი არა აქვს (იგი პატარა ქეთოს დასტრიალებს თავს, ტანთ ხდის და ახალ ტანსაცმელს აცმევს, თავის ხილაბანდს იხსნის და მას აფარებს, ამ დროს ქეთოს გაელვიძება).

ქეთო. აქ სად მომიყვანეს, ან თქვენ ვინა ხართ?

ლელა. ჩვენ შენი ყველაზე ახლობელი და ერთგული ადამიანები ვართ, ნურაფრის გეშინიან, ჩემო პატარავ! შენ უსაფრთხოდ ხარ და ვერვინ დაგიშავებს რამეს.

ქეთო. მე ჩემს სახლში მინდა ჩემს მშობლებთან.

ლელა. შენი სახლი ამიერიდან აქ არის, და ნურაფერზედ იდარდებ, ჩვენ ვიქნებით შენი დედ-მამა და მზრუნველობას და სიყვარულს არ მოგაკლებთ.

ნაიბი. შენ ჩვენი შვილი იქნები ამიერიდან და რასაც ინატრებ ყველაფერი გექნება, სიმდიდრესა და გართობას არ მოგაკლებთ.

ქეთო. მე არ მინდა სიმდიდრე და გართობა, მე ჩემს დედ-მამასთან მინდა. (და იგი ტირილს იწყებს).

ლელა. ნუ სტირი პატარა, ყველაფერი კარგად იქნება, ეხლა კი დაიძინე, შენ ალბათ დღეს ძალიან დაიღალე (იგი საბანს აფარებს ჩაძინებულ ქეთოს).

ნაიბი. ამ პატარა გოგოს მოფერება და ალერსი უნდა, რომელსაც ჩვენ არ მოვაკლებთ და იგი მალე დაივიწყებს თავის წარსულს.

ლელა. საუკეთესო აღმზრდელებს და მასწავლებლებს დავახვევ თავს, მას ასწავლიან ჩვენს ტრადიციებს და ლეკურ ენას, ცეკვებს, სიმღერებს, ხვალვე შესაფერის ტანსაცმელს შეუკვეთავ მისთვის.

ნაიბი. მე ამ საქმისთვის ფულს არ დავიშურებ, და ბავშვს არაფერს მოვაკლებ, ისე ვაცხოვრებ რომ თავისიანები მალე დაივიწყოს, ხვალვე ბრძანებას გავცემ, რომ არამც და არამც არავინ გაბედოს და ჩვენს აყვანილ შვილს არვინ გააგონოს, რომ იგი ნაშვილებია და არა ჩვენი ღვიძლი შვილი.

პირველი მოქმედების დასასრული

მეორე მოქმედება

სცენა №3

ლეკი ნაიბის სახლი. ოთახში ლეკი ნაიბი, მისი ცოლი – ლელა და ქეთო არიან, ქეთოს ლეკურად აცვია, ის 14-15 წლის გოგოა ლამაზი პირსახით და დიდი ნამწამებით. ამ დროს კაკუნის ხმა ისმის, ქეთო გარბის და კარს აღებს, სახლში მისი ამხანაგი გოგო შემოდის, ქეთო მას გადაეხვევა და მშობლებს ეუბნება.

ქეთო. დედა, ჩემს ოთახში შევალთ, ჩემი ნაქარგი უნდა ვაჩვენო ჩემს მეგობარს.

ლელა. ნადი ჩემო კარგო და შენი ნაქარგიც აჩვენე და შენი ნახატიც. (გოგოები გადიან ოთახიდან).

ნაიბი. რა სწრაფად გავიდა ათი წელი, როგორ დამშვენდა ჩვენი ქალიშვილი, რა კობტა და ქკვიანი გოგო გახდა.

ლელა. დედა ენაცვალოს მაგას, მართლაც როგორ დამშვენდა ჩვენი შვილი, ცეკვაც და სიმღერაც კარგი იცის (იგი ეძახის ქეთოს) ქეთო! შვილო, მოდით აქ (ქეთო და მისი ამხანაგი შემოდიან ოთახში). ქეთო გენეცვალე, ერთი შენებურად დატრიალდი და შენი ლამაზი ცეკვა გვაჩვენე.

ქეთო. თუ მამა დაუკრავს მე ვიცეკვებ და ვიმღერებ კიდევ. (ნაიბი ქნარს უკრავს, ლელა – დოლს. ქეთოსთან ერთად ცეკვავს მისი ამხანაგი გოგოც. კარზე კაკუნის ხმა, ქეთოს ამხანაგი კარს აღებს და ოთახში ნაიბის მეზობელი შემოდის. ცეკვა-თამაში შეწყდება, ქეთო და მისი ამხანაგი მეორე ოთახში გადიან. ლელა მაგილას უტრიალებს).

მეზობელი იბრაჰიმი. ნაიბო, გამარჯობა შენი.

ნაიბი. გამარჯობა მეზობელო, რაო რამ შეგანუხა იბრაჰიმ?

იბრაჰიმი. შენთან ერთი ამბავი მაქვს სათქმელი, ეს სათქმელი ერთმა ქართველმა თავადმა დამაბარა შენთან. გთხოვ ყურადღებით მომისმინო.

ნაიბი. მობრძანდი და აქ დაბრძანდი (იგი დივანზე უთითებს მეზობელს). ლელა, შენ კი ჩაი მოგვართვი ამ მაგიდაზე (იგი პატარა მაგიდაზე უთითებს დივნის წინ). აბა, კარგად გამაგებინე, რომელი ქართველი თავადისგან გინდა გადმომცე სათქმელი?

იბრაჰიმი. რომლისაგან და ზურაბ ქართველადისაგან, სოფელ ვაშლოვანში რომ ცხოვრობს.

ნაიბი. რალაც არ მაგონდება, არ გამიგია ეგეთი არავინ.

იბრაჰიმი. ნაიბო, შენ დიდის პატივისცემით გეპყრობა მთელი დაღესტანი, პატიოსანი და კეთილი ადამიანის სახელი გაქვს, შენი კეთილი საქმეები დაღესტანს გარეთ არის ცნობილი, მეც შენდამი ერთგულება არა ერთხელ გამომიხატავს, და ჩვენი ურთიერთობა როგორც ნათესაური, ასევე მეგობრულიც არის. ამიტომ ქართველმა თავადმა ნდობა გამომიცხადა და თავის თხოვნა და სათქმელიც მე დამაბარა შენთან.

ნაიბი. განა რა თხოვნა აქვს ქართველ თავადს ეგეთი?

იბრაჰიმი. თავადი ზურაბ ქართველადე სოფელ ვაშლოვანის მკვიდრია, ცნობილია თავის ვაჟკაცობით, ადამიანობითა და შეძლებით, შენსავით კეთილი საქმეებით გაითქვა სახელი, მაგრამ ამ ათი წლის წინ, მის ოჯახს დიდი უბედურება დაატყდა თავზედ.

ნაიბი. ეგეთი რა უბედურება დაემართა, თავად ქართველადეს?

იბრაჰიმი. რა უბედურება და მასა და მის მეუღლეს ერთადერთი საყვარელი სამი წლის ქალიშვილი მოსტაცეს.

ნაიბი. ძალიან ცუდი ამბავი მოსვლია თავადს, ნეტა ვინ იყვნენ ის ნაძირლები, რომლებსაც ეს ცუდი საქმე ჩაიდინეს?

მეზობელი. ვინ იყვნენ და ლეკების შემარცხვენელი ჰასანი და მისი ამხანაგი, რომლებიც ქურდობითა და ყაჩაღობით არიან განთქმულნი. მათ ფულის გამოძალვის მიზნით გაიტაცეს თავადის ქალიშვილი ქეთო. შემდეგ დაღესტანში ჩამოიყვანეს და შენ მოგიყვანეს, შენც მოგატყუეს და დაგაჯერეს, რომ გოგო მათ ტყეში იპოვნეს, შენც მათ დაუჯერე და ოქროთი სავსე ქისით

დააჯილდოვე. მას შემდეგ თავადი ეძებს თავის ქალიშვილს და დაკარგული ქალიშვილის კვალმა იგი შენთან მოიყვანა, მან იცის რომ გოგო გიშვილებია და მისთვის არაფერს იშურებ.

ნაიბი. ყოველივე რასაც შენ ამბობ ძალზედ სამნუხაროა, მაგრამ რასა მთხოვს თავადი მე?

იბრაჰიმი. ქართველი თავადი, ზურაბ ქართველადე გთხოვს, მისი ერთად-ერთი შვილი ქეთო უკანვე მას დაუბრუნო და რასაცა გთხოვს ყველაფრის მომცემი ვარო.

ნაიბი. ძალზედ შემძრა შენმა სიტყვებმა იბრაჰიმ, მე მწარედ მომატყუეს ყაჩაღმა ჰასანმა და მისმა ამხანაგმა, და დავიჯერე რომ ბავშვი ნაპოვნი იყო. ქართველი თავადისაც კარგად მესმის, ძნელია ქალიშვილის დაკარგვა, მაგრამ არც მე ვარ დამნაშავე, მე რომ თავიდან მცოდნოდა, რომ ეს ბავშვი მისი ქალი იყო, მე მას თვითონ დავუბრუნებდი ქეთოს, მაგრამ ახლა გვიანაა, მე და ჩემს ცოლსაც მზე ამ ბავშვზე ამოგვდის, მასაც ძლიერ ვუყვარვართ, აქაურობას ძალზედ მიეჩვივა, თავისი ნამდვილი მშობლები სრულიად დავინწყებული ჰყავს, ამიტომ თავადს გადაეცი, ქეთოს ვერ დავუბრუნებ, თუნდ მთელი კახეთის სიმდიდრე კარზე დამიხვავოს.

იბრაჰიმი. შენი დიდი პატივი მაქვს ნაიბო, მაგრამ იცოდე ესეთი პასუხის შემდეგ თავადი ზურაბი არაფრის წინაშე უკან არ დაიხევს და ყველა ხერხს იხმარს, რომ თავისი ქალიშვილი უკან დაიბრუნოს, რადგან ისინი ძალიან იტანჯებიან და ქეთო მათი ერთად-ერთი იმედი და ნუგეში არის.

ნაიბი. გადაეცი ქართველ თავადს რამდენჯერაც არ უნდა ეცადოს ძალითა და იარაღით თავის ქალიშვილს ვერ დაიბრუნებს, ტყუილად გაირჯება, რადგან ყველგან მათ დახვდებათ შეიარაღებული და ჩასაფრებული ლეკები, რომლებიც მათ დიდ წინააღმდეგობას გაუწევენ, რადგან მათ ადგილმდებარეობა კარგად იციან

და ქართველთა რიცხოვრივი უპირატესობის მიუხედავად ვერაფერს მიაღწევენ, ჩემს სოფლამდე მოახლოებასაც ვერ შესძლებენ.

იბრაჰიმი. კეთილი ნაიბო, ყოველივე შენს ნათქვამს თავადს გადავცემ, ეხლა კი ნება მიბოძე გამოგემშვიდობო და ჩემს გზას დავადგე, მადლობელი ვარ სტუმრად მიღებისათვის.

ნაიბი. კარგად იყავი იბრაჰიმ და იცოდე ამ საქმეზე ჩემთან მოსული აღარ დაგინახო (იბრაჰიმი თავს მდაბლად უკრავს ნაიბს და ოთახიდან გადის).

ნაიბი. მუსტაფა, მოდი აქ სასწრაფოდ (ოთახში ნაიბის წვერებიანი მსახური შემოდის).

მუსტაფა. გისმენთ ბატონო.

ნაიბი. ნადი, შეკრიბე ჩემი ერთგული ლეკები, სურსათსანოვანად და იარაღი არ მოაკლო. მათ გადაეცი ჩემი ბრძანება, რომ აქ მომავალი ყველა გზები გადაკეტონ და ყოველი უცხო საქართველოდან გადმოსული დააკაონ და მე აქ მომგვარონ.

მუსტაფა. კეთილო ნაიბო, თქვენი ბრძანება შესრულებული იქნება (და იგი გადის ოთახიდან).

ნაიბი. (მიმართავს თავის ცოლს, ლელას). ყოველივე შენი ყურით გაიგონე, ხედავ რას გვითვლის ქართველი თავადი, ქეთო ჩემი შვილია და დამიბრუნეო.

ლელა. ყოველივე გავიგე და ნეტავ არ გამეგო, ეს რა უბედურება დაგვატყდა თავს, განა ასეთი რა დავაშავეთ, რომ ასე გვსჯის უფალი. ჯერ იყო და შვილს ვერ ველირსეთ, შემდეგ სხვისი ბავშვი მოგვივლინა უფალმა, რომელიც ღვიძლი შვილივით შევიყვარეთ და უიმისოდ სიცოცხლეს არ შეგვიძლია, ახლა ქეთოს თავის ნამდვილი მშობლები გამოუჩნდა, რა ვქნათ, რა ვიღონოთ, რომც დავთანხმდეთ და დავაბრუნოთ, ქეთო თანახმა იქნება განა? მას ხომ აღარ აღსოვს თავის წარსული, იგი მხოლოდ ანმყოთი ცხოვრობს, ჩვენ ძალიან უყვარვართ და ამით ძალზედ ბედნიერია.

ნაიბი. მართალი ხარ, ჩვენ ქეთო უსაზღვროდ გვიყვარს და მასაც ჩვენს გარეშე სიცოცხლე ვერ წარმოუდგენია, თავის ნამდვილი მშობლები სრულად ყავს და ვინაყე-ბული და მისთვის დიდი ტანჯვა იქნება ყოველივე ამის გაგება.

ლელა. ბოროტ ადამიანებს რა გამოლევს ამ ქვეყანაზე, ადვილი შესაძლებელია ქეთოს ეს ამბავი ვინმემ ყურში ჩაან-ვეთოს, მერე რა წყალში ჩავარდეთ?

ნაიბი. ვინც ამას გაბედავს, ის სასტიკად დაისჯება (ამ დროს ოთახში ქეთო შემოდის).

ქეთო. რას დაღონებულხართ ჩემო საყვარელო მშობლებო, განა რა მოხდა ამისთანა?

ლელა. არაფერი არ მოხდა შვილო, მაგრამ იცოდე თუ ვინმემ რამე არასასიამოვნო ამბავი მოგიტანა ჩვენზე, არ დაიჯერო.

ქეთო. რა ამბავი უნდა მომიტანონ დედა?

ლელა. შვილო ქეთო, თუ გახსოვს შენი ბავშვობიდან რამე?

ქეთო. დედა არ დაგიმაღავ, მე ჩემი წარსული ბუნდოვნად მახსოვს, მაშინ პატარა ვიყავი, მაგრამ ჩემს მეხსიე-რებაში სამუდამოდ დარჩა წარსულის ტკივილი, რომელიც ჩემს გატაცებას ეხება და ალბათ არას-დროს დამავინწყდება, თუ როგორ მძინარე გამიტაცეს და გონს რომ მოვედი, ერთი ლეკი ცხენზედ ამხე-დრებული სადღაც გამალებით მიმაქროლებდა, ბო-ლოს თქვენთან აღვმოჩნდი. მე დიდხანს ვიტანჯებო-დი, რადგან ჩემი წარსული ცხოვრება მოსვენებას არ მაძლევდა, თუმცა თქვენმა გულისხმიერმა და კეთილმა დამოკიდებულებამ დადებითად იმოქმედა ჩემზედ და მეც სწრაფად დავივინყე წარსული თუმცა, უნდა გამოგიტყდეთ ყველაზე ძნელად ვიღაც ქალის მშვენიერ სიმღერას ვერ შეველიე, რომელიც დიდხანს ჩამესმოდა ყურში, და აი, ამ ბოლო დროს მთლად შეწყდა, აღარ მესმის და არც მალეღვებს.

ნაიბი. ქეთო შვილო, რახან შენ თავად ახსენე შენი წარსული და

გატაცება მეც არ დაგიმაღავ სიმართლეს, რადგან აზრი აღარა აქვს რაიმეს დამალვას, შენ ჩვენთან სულ პატარა მოგიყვანეს ჩვენს ოჯახში და ვინც ეს ბოროტება ჩაიდინა, მან მეც მწარედ მომატყუა, მათ მითხრეს, რომ შენ კი არ მოგიტაცეს, არამედ ტყეში გიპოვნეს უპატრონოდ დაგდებული. ჩვენ დავიჯერეთ და ღმერთისაგან უშვილობით შერაცხულებმა გიშვილეთ და დიდის სიყვარულით შეგიყვარეთ, რადგან ვიფიქრეთ, რომ განგების ნებას ვასრულებდით, მას შემდეგ ამაგსა და ზრუნვას არ გაკლებდით, მაგრამ აი დადგა დრო, როდესაც სიმართლე უნდა გაიგო, შენ ქართველი თავადის ქართველადის შვილი ხარ, რომელმაც დღეს ჩემის მეზობლის პირით შემომითვალა, რომ ქეთო ჩემი შვილია, ათი წლის წინ ლეკების მიერ გატაცებული და დამიბრუნეო. მე მას გადავეცი, თავიდან რომ მცოდნოდა, შენ მათი გატაცებული შვილი იყავი, ჩემი ხელით დაუბრუნებდი, მაგრამ დიდი დრო გავიდა მას შემდეგ და ჩვენ ღვიძლი შვილივით შეგიყვარეთ და შენც ჩვენდამი ღვიძლი მშობლიური სიყვარული გაგაჩნია.

ლელა. ჩემო შვილო, გულახდილად გვითხარი, თუ შენ გაქვს სიყვარული შენი ნამდვილი მშობლებისა და სურვილი მათთან დაბრუნებისა, ჩვენ შენის სურვილი წინააღმდეგ არ წავალთ და დაგაბრუნებთ შენს მშობლებთან, თუმცა უნდა გითხრათ, ჩემო შვილო, რომ ჩვენ უშენოდ სიცოცხლე აღარა გვაქვს წარმოდგენილი.

ქეთო. ჩემო დედა და მამა, ჩემი მშობლები თქვენა ხართ და სხვა არავინ, მეც უთქვენოდ სიცოცხლე არ შემიძლიან, ჩემი წარსული მე დავინწყებას მივეცი, თუ მე თქვენს გარდა სხვა მშობლები მყავდა, ვერც კი წარმომიდგენია, და თუ მართლაც, არსებობენ, მე მათ მიმართ არავითარი გრძნობა არ გამაჩნია და ტყუილად ირჯებიან, მე მათთან არასოდეს დავბრუნდები.

ნაიბი. რადგან შენში ჩემო შვილო ესეთი სიყვარული დავიმ-

სახურეთ, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ შენი სიმყუდროვე და ბედნიერება არავინ დაარღვიოს, და თუ კი ვინმე გაბედავს ამას, მათ სათანადო პასუხს გავცემთ (ამ დროს ლელა მიდის ქეთოსთან და გადაეხვევა).

ლელა. ჩემო ძვირფასო შვილო, შენკი გენაცვალე შენა, ჩვენ ვერავინ და ვერაფერი დაგვაცილებს ერთმანეთს.

ქეთო. ჩემს დაცილებას თქვენთან ვერავინ შესძლებს (ლელა, ქეთო და ნაიბი ერთმანეთს ეხვევიან). ჩემი მშობ-ლიური ენა ქართული კი არა, დაღესტნურია, მე ლეკის ქალიშვილი ვარ და არა ქართველისა. (ისმის კარებზე კაკუნის ხმა).

ნაიბი. შემოდი რომელი ხარ? (ოთახში ნაიბის მსახური მუსტაფა შემოდის, მას გრძელი უღვაშები აქვს და თავზე ფაფახი ახურავს, ის ფაფახს მომხდის და არელვებულები ამბობს).

მუსტაფა. ნაიბო, ცუდი ამბავი უნდა შეგატყობინო.

ნაიბი. ისეთი რა მოხდა, რა ამბავი უნდა შემატყობინო?

მუსტაფა. ჩვენს სოფელთან ახლოს რამდენიმე ხილაბანდიანი უცხო მამაკაცი შეამჩნიეს ჩვენმა დარაჯებმა, მაგრამ მათ მიმალვა მოახერხეს.

ნაიბი (იგი ძალზედ აღელვდება). როგორ დაუშვით მათი ხელიდან გაშვება, სასწრაფოდ უნდა შევკრიბო შეიარაღებული რაზმი და მთელი მიდამო დავზვეროთ, როგორმე ის ყაჩაღები ხელში უნდა ჩავიგდო, შესაძლებელია ისინი თავად ზურაბის გამოგზავნილები იყვნენ, მუსტაფა შენ აქ დარჩები და სახლიდან ფეხი არ გაადგა, ქეთოს უყარაუღე, მე კი უნდა წავიდე. (იგი კარისკენ მიდის, ამ დროს ლელა ეუბნება).

ლელა. მეც წამოვალ, მეზობელ ქალებს შევხდები და მათაც გავაფრთხილებ მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. ქეთო შვილო შენ ნურაფერზე იდარდებ, მე მალე დავბრუნდები (ცოლ-ქმარი ოთახიდან გადიან. მუსტაფა კართან დაჯდება ხალიჩაზე, ფეხს ფეხზე გა-

დაიდებს და ჩიბუხს გააბოლებს, ქეთო დივანზე დაჯდება და ქსოვას დაიწყებს. ცოტახნის შემდეგ კარი დრთხილად იღება და ოთახში ჩუმად ხილაბანდიანი კაცი შემოდის, რომელსაც ხელში კომბალის მსგავსი ჯოხი უჭირავს, დაინახავს რა მუსტაფას კართან მჯდომს, მას მთელის ძალით თავში ჯოხს ჩასცხებს და იატაკზედ დარეტიანებულს უგონოდ გააგორებს, ხმაურზედ ქეთო დივანიდან წამოხტება და შეშინებული შეჰყვირებს მოსულს.

ქეთო. ვინ ხარ და აქ რამ მოგიყვანა? (მამაკაცი ხილაბანდს გადაიძრობს თავიდან და ქეთოს წინაშე მისი მამა, თავადი ზურაბი წარსდგება).

ზურაბი. გამარჯობა ჩემო შვილო (იგი თვალცრემლიანი და გაკვირვებული უყურებს თავის ქალიშვილს, რომელიც ათი წელი არ უნახავს). როგორ გაზრდილხარ ჩემო ქეთო (ქეთო გაკვირვებული და შეშინებული უყურებს უცხო მამაკაცს). ვერ მიცანი ჩემო შვილო, მე ხომ უბედური მამაშენი ვარ, რომელმაც ამ ათი წლის წინ შენი თავი დაკარგა, რომ იცოდე როგორ მოგვენატრე, დედაშენს ათი წელი თვალზედ ცრემლი არ შეშრობია, უშენობამ ძალზედ გაგვტანჯა და წელში გაგვწყვიტა, დაგვაბერა და გაგვატიალა, წამოდი ჩვენთან იქ, შენ სახლში – ვაშლოვანში. ყოველივე ისე დაგვხვდება, როგორც შენს გატაცებამდე იყო, ჩვენ შენს ოთახში არაფერი შეგვიცვლია (იგი გაკვირვებულ ქეთოს მკლავში ხელს წაავლებს და გასასვლელისკენ წაიყვანს, ამ დროს ქეთო ხელს გამოსტაცებს მას და ეტყვის).

ქეთო. გთხოვთ თავი დამანებოთ, მე თქვენ არ გცნობთ, ჩემი სახლი აქ არის და მე არსად არ წამოვალ.

ზურაბი. ქეთო შენ გონება დაბინდული გაქვს, ლეკმა ნაიბმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ შენ ჩვენ დაგვეინყებინე, მაგრამ შენ ყოველივე გაგახსენდება როცა დედას შეხვდები, ჩქარა წამოდი შვილო. (და იგი ქეთოს ხელში აიტაცებს, რომელიც ყვირის).

ქეთო. მიშველეთ, მიშველეთ... (ქეთოს გული ნაუვა, ზურაბს ხელში აყვანილი გაყავს ქეთო).

სცენა №4

სოფელ ვაშლოვანში თავად ზურაბ ქართველადის სახლი. ოთახში ზის მისი მეუღლე მაგდანა და ქსოვით არის გართული, ოთახში ზურაბი შემოდის, ხელი ქეთოს მკლავზედ უჭირავს და სახლში შემოყავს, და მაგდანას ეუბნება.

ზურაბი. აი, მაგდან, მოგიყვანე შენი ქეთო (სიხარულისაგან აღფრთოვანებული მაგდანა წამოხტება და შვილისკენ გაექანება, მას ხელებს გადახვევს და მხურვალედ დაუკოცნის ლოყებს, მაგრამ მალე სიმხიარულე მწუხრად გადაექცევა, იგი დააცქერდება თავის შვილს სახეზე და მის სახეზედ მწუხარებას ამოიკითხავს).

მაგდანა. შენი მშობელი დედა ვარ, შვილო, ესეც შენი ღვიძლი მამაა. აი, სახლი (ხელით ანიშნებს ოთახზედ) სადაც შენ დაიბადე.

ზურაბი. შვილო ქეთო, რამ დაგავინყა ჩვენი თავი, ნუთუ მართლა არაფერი გახსოვს? (ქეთო ყინულივით ცივია და ქვასავით უგრძობი, მასზედ მაგდანას და ზურაბის სიტყვები არავითარ გავლენას არ ახდენს. იგი ტირილს იწყებს და არაფერს ამბობს).

მაგდანა. შვილო, ათი წელი შენს დაბრუნებაზე ვოცნებობდი და თვალზედ ცრემლი არ შემშრობია. ამ წუთს მოუთმენლად ველოდი, როდესაც შენ შეგხვდებოდი და კვლავ გულში ჩაგიკრავდი და აი მე უბედური რას მოვესწარი, შენ სტირი და ზედ არ მიყურებ. რამ დაგავინყა შენი მშობლიური სახლი, შენი ღვიძლი მშობლები, დედა?!

ქეთო (ტირილით ეუბნება მაგდანას). თავი დამანებეთ, რა გინდათ ჩემგან, არაფერი მახსოვს. მე დალესტანში

მინდა, ჩემი სახლი იქ არის და ჩემი მშობლებიც იქ არიან, მე მათთან მინდა. (ისმის კარზედ კაკუნის ხმა, მაგდანა კარს არებს და ოთახში შემოდის ქეთოს გამზრდელი ბარბარე და მისი შვილი, ქეთოს ბავშვობის მეგობარი გიორგი).

მაგდანა. შემოდით ჩემო ბარბარე და გიორგი, ნახეთ ჩემი ბედნიერება და უბედურებაც, ჩემო ქეთო დამიბრუნდა, ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს, მაგრამ ამავე დროს, ცრემლით მევსება თვალი, რადგან ქეთო მეტად შეცვლილია, მას მშობელი დედა და მშობლიური ენაც კი დაჰვიწყნია. გაესაუბრეთ, იქნებ თქვენ მაინც გიცნოთ.

ბარბარე. ეს რა მესმის, ეს მშვენიერი ქალიშვილი ჩვენი პატარა ქეთოა? ქეთო ძვირფასო, შენ გენაცვალე, რომ იცოდე როგორ ვიტანჯებოდი უშენოდ, შენ ხომ ჩემი გაზრდილი ხარ, მოდი ჩაგეხუტო და გულში ჩაგიკრა (ქეთოსთან მიდის და მას გადაეხვევა და გულში ჩაიკრავს, მაგრამ ქეთო უგრძნობია მის მიმართ). ნუთუ ველარ მცნობ შენს გამზრდელ ბარბარეს, ჩემს ხელში გაიზარდე შვილო, რამდენი ღამე მითენებია შენს მოვლაში. (ქეთო გაკვირვებული უყურებს და ხმას არ იღებს). აბა ამ ახალგაზრდას შეხედე (ბარბარე გიორგისაკენ იშვერს ხელს), ის შენი ბავშვობის მეგობარი გიორგია, ვერც ის იცანი განა?

გიორგი. ქეთო შემომხედე, მე გიორგი ვარ, გახსოვს ერთად რომ ვთამაშობდით პატარაობისას დამალობანას, შენ ერთხელ ხის ფულუროში დაიმაღე და მე ვერაფრით გიპოვნე, მერე როგორც იქნა გამოჩნდი, მე კი შენს ძებნაში მთელი ტყე მოვიარე, შენი ძებნა მერეც არ მომიშლია, რაც ამ ათი წლის წინ გაგიტაცეს, მაგრამ შენს კვალს მაშინაც ვერსად მივაგენი და აი, საოცრება შენ ისევ შენს სახლში ხარ!

ქეთო. გიორგი? არა, ეგეთი არავინ მახსოვ, იქ დაღესტანში მე ჩემი მეგობრები დავტოვე, რომლებიც ყველა კარგად

მახსვს და მენატრებიან კიდეც, მაგრამ შენ არ მახსოვხარ.

მაგდანა. შვილო ქეთო, შენს მოლოდინში რომ ვიყავ და შენთან შეხვედრაზედ ვოცნებობდი, ხშირად თვალწინ წარმომიდგებოდა თუ როგორი უნდა ყოფილიყავი და შენი ასაკის გოგოს კვალობაზე ქართული ტანისამოსი შეგიკერე, წამოდი ჩაგაცვა (იგი ქეთოს გაიყვანს ოთახიდან, მალე ისინი ბრუნდებიან (მაგდანა ეუბნება მას) მოდი ქეთო სარკეში ჩაიხედე (ქეთო სარკესთან მიყავს) ნახე როგორ გიხდება ეს ტანისამოსი, შვილო, როგორ ვგევართ ერთმანეთს მე ხომ დედა ვარ შენი ნუთუ ახლაც ვერ მიცანი?

ქეთო. (ტირის და თან ახსენდება ქართული, დამტვრეული ქართულით ეუბნება მაგდანას) ვერა, ვერა გცნობ, ეს კაბა მე არ მიხდება, ჩემი ლეკური ტანისამოსი მირჩევნია (მაგდანა ტირილით მიდის ოთახის კუთხეში, იღებს ხელში ქეთოს აკვანს)

მაგდანა. აი, შვილო შენი აკვანი, რომელშიც გაიზარდე, ხოლო როდესაც გარწევდი იავნანას გიმღეროდი შვილო, აი მომისმინე იქნება ამ ჩემმა გულის სიღრმიდან ამოსულმა ტკბილმა იავნანამ გაგიღლოს გაყინული გული და გაგახსენოს შენი საცოდავი მშობელი დედა. (მაგდანა იწყებს სიმღერას იავნანას, სიმღერის დროს ქეთო დივანზე დაჯდება და ყურადღებით უსმენს დედის ტკბილ სიმღერას, შემდეგ ფეხზე ადგება და მას თითქოს რაღაც გაახსენდება, სიმღერა მასზედ ძლიერ ზეგავლენას ახდენს და თავის წარსულს ახსენებს, იგი დედისკენ გარბის, მას მოეხვევა და წამოიძახებს).

ქეთო. დედა!.. ჩემო დედა (ისე წამოიძახებს, თითქოს სახლის კედლები შეიძრა. ყველას ცრემლები მოსდით, დედა-შვილი ერთმანეთს გადაეხვევა).

მაგდანა. ქეთო, ჩემო შვილო, გაიხსენე როგორც იქნა იავნანა, რამაც გაგახსენა შენი საბრალო დედა.

ქეთო. ჩემო მამა (და იგი გარბის და ზურაბის გადაეხვევა,

შემდეგ ბარბარეს და გიორგის). ამ სიმღერამ ყოველივე გამახსენა, თვალწინ დამიდგა მივინწყებული წარსული. ჩემო ძვირფასებო, დიახ, აღვიდგინე, ეს ხომ ჩემი აკვანია, ეს კი ჩემი სათამაშოები (ქეთო აკვანსა და მასზედ დაკიდულ სათამაშოებს ეფერება).

გიორგი. მე კი შენი ბავშვობის მეგობარი ვარ, მუდამ მჯეროდა, რომ ვიპოვიდი ჩემს სიყრმის მეგობარს და ჩვენ ეხლა ვერავითარი ძალა ველარ დაგვაცილებს ჩემო ქეთო.

ქეთო. მეც სუყველა მიყვარხართ, ჩემო ძვირფასებო, მაგრამ ჩემი გერი მშობლებიც მინდა მოვიკითხო, იმათი სიყვარულიც გამაჩნია, ვიცი ძალიან შენუხებულები იქნებიან ჩემი გაუჩინარებით, დედა, გენაცვალე, არ შეიძლება რომ დალესტანში ვისიმეს პირით მოკითხვა შეუთვალო ჩემს გერ მშობლებს? (მაგდანა უცებ შეკრთება). ფიქრი ნუ გაქვს, დედა! (აღერსით ეუბნება ქეთო) შენ და მამაჩემი მიყვარხართ როგორც ღვიძლი მშობლები, იმათ კი პატივისა ვცემ, როგორც ჩემს მოამაგეთ და ჩემს აღმზრდელებს. ისინი რომ არ ყოფილიყვნენ, ვინ იცის, ვის ხელში ჩავარდებოდი.

მაგდანა. რა თქმა უნდა შვილო, ურიგო არ იქნება მათთან შენი მოკითხვის გადაცემა.

ზურაბი. მოკითხვას შეუთვლით ნაიბს და მის ცოლს საგანგებოდ გაგზავნილი კაცების პირით და ძღვენსაც გაუგზავნით.

მაგდანა. ქეთო შვილო, გატყობ ძლიერ გინდა ნახო შენი დედობილ-მამობილი, იცი, ჩემო კარგო, რა აზრი მომივიდა? ახლა რთველი ახლოვდება, დალესტანში ვენახები არ არის და რთველი იქ არ იციან, მოდი, რთველში მოვინვიოთ შენი დედობილ-მამობილი და ვასიამოვნოთ, სიკეთეს გადახდა უნდა.

ქეთო. მადლობთ დედა (მაგდანას გადაეხვევა).

ზურაბი. კარგი აზრია, ახლავე გავაგზავნი კაცებს ნაიბთან და მის ცოლთან მათ მოსაპატიჟებლად რთველში.

სცენა №5

თავად ზურაბ ქართველასის სახლი, დივანი, ორი სავარძელი, მათ წინ პატარა მაგიდა. დივნის შუაში ზიან ქეთო და გიორგი, მათ მარჯვნივ მაგდანა, მარცხენით ბარბარე. მაგიდაზე ღვინის დოქი და თასები აწყვია. ოთახში შემოდის თავადი ზურაბი, რომელსაც მოჰყვებიან ლეკი ნაიბი და მისი ცოლი ლელა, ყველანი ფეხზედ წამოდგებიან და ძვირფას სტუმრებს სტუმრებს ეგებებიან.

ზურაბი. მობრძანდით ბატონებო, აი ჩვენი ქეთოც (და იგი ხელით ქეთოსკენ მიუთითებს, რომელსაც ქართული ტანსაცმელი აცვია. ქეთო სიხარულით ეგებება თავის ყოფილ მშობლებს, ისინი ერთმანეთს ეხვევიან და ცრემლს ღვრიან, მერე მოტრიალდება ლელა და მაგდანას გადაეხვევა).

ზურაბი. ჩემო ნაიბო და ლელა, დღეს ჩემს სახლში ბედნიერების დღე არის. ჩვენმა ქეთომ და გიორგიმ დღეს ჯვარი დაინერეს, მოდით ჩვენი ახალგაზრდები დავლოცოთ, ამ ახალგაზრდების ბედნიერებაში თქვენც მიგიძღვით წვლილი, თქვენ რომ არ ყოფილიყავით ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა ჩემი შვილის ბედ-იღბალი.

ნაიბი. ჩემო ქეთო, ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ იმისათვის, რომ შენ არ მოგკლებოდა მშობლიური სითბო და ალერსი, მაგრამ ვხედავ ღვიძლი მშობლების სითბო და სიყვარული სულ სხვაა. ჩვენ მოხარებულები ვართ შენი ბედნიერებით და ამავე დროს გულდანყვეტილიც ვართ, რომ ჩვენთან აღარ ხარ.

ლელა. ჩემი ქეთო, რომ იცოდე როგორ ვდარდობთ უშენობას, ჩვენმა ცხოვრებამ თითქოს აზრი დაკარგა, მაგრამ ძალზედ გამეხარდა, რომ შენ მშობლიურ ოჯახში აღმოჩნდი ისევ და არა სხვაგან. ჩვენ ვეცადეთ ყველაფერი გველონა იმისათვის, რათა შენ ობლობა არ გეგრძნო, სითბო და სიყვერული არ მოგვიკლია შენთვის, მაგრამ ვატყობ მშობლიური დედის სიყვარული სულ სხვაა.

- მაგდანა.** თქვენ ვერ წარმოიდგენთ თუ რა ძნელად იხსენებდა ქეთო თავის წარსულს. ჩემი სიმღერა იავნანა რომ არა, ალბათ ჩემი ქეთო ველარასოდეს გამიხსენებდა.
- ლელა.** განა ეგეთი რა სიმღერა უმღერე შენს შვილს, რომ ასე ძალიან იმოქმედა მასზედ, სიმღერა მეც მიმღერია ქეთოსთვის, მაგრამ მშობლიურ ენაზედ შესრულებული სიმღერა სულ სხვა არის ალბათ?
- მაგდანა.** დიახ, იავნანამ დიდი რამ გააკეთა, მან შვილი დამიბრუნა.
- ლელა.** განა იავნანამ რა ჰქმნა ესეთი? იქნება გვიმღეროთ მაგდანა ეგ სიმღერა?
- მაგდანა.** რატომაც არა! (ზურაბი ქნარს მოიმარჯვებს და ისიც აყვება. მღერის ყველა და მათ შორის ქეთოც. სიმღერა რომ დამთავრდება ლელა ამბობს).
- ლელა.** მართლაც ძალიან კარგი სიმღერაა, მეც დავრწმუნდი, რომ იავნანა, ეს ზღაპრული ქართული სიმღერა არის, რომელსაც სასწაული მოახდინა და ქეთო თავის ღვიძლ მშობლებს დაუბრუნა.
- ზურაბი.** მოდით მეგობრებო ქეთო დავლოცოთ თავის მომავალ მეუღლესთან ერთად, უსურვოთ ბედნიერება, რომ ამათ ცხოვრებაში ყოველთვის სწამდეთ სიკეთის და სასწაულმოქმედ მშობლიური იავნანასი.
- ნაიბი.** გაუმარჯოს ახალგაზრდებს (იგი დგება ფეხზე, მიდის და გადაეხვევა ქეთოს და გიორგის). თქვენ გენაცვალეთ თქვენა, ჩემო შვილებო, თქვენი მეგობრობა და სიყვარული საწინდარი ყოფილიყოს ქართველი და ლეკი ხალხის სიყვარულისა და მეგობრობისა, მშვიდობას გაუმარჯოს ჩვენ ხალხს შორის. (ქეთო და გიორგი შუაში დგებიან, მათ გვერდზე ამოუდგებიან მაგდანა, ზურაბი, ნაიბი, ლელა და ბარბარე. მაგდანა იწყებს სასწაულმოქმედ სიმღერას იავნანას.

პიესის დასასრული

